02 IUNIE
RUGĂCIUNEA
SF.CUVIOS
DODO DE LA GAREDJI GEORGIEI

საველრებელი ლოცვა

ჵ, ნათელ-ცისკროვნო ვარსკვლავო უდაბნოჲსაო, ღირსო მამაო ჩუენო დოდო გარეჯელო, დიდო იღუმენო „დოდორქის“ საღმრთოჲსა სავანისაო და სიქადულო საუფლოჲსა ერისა ჩუენისაო; მოღუაწებისა ძეგლო და მტკიცეო კლდეო სარწმუნოებისაო; მამათა წინამძღუარო და შუენიერო სამკაულო ქრისტეს ეკლესიისაო; მრავალთა სასწაულთა მოქმედო და მეოხო ჩუენო წინაშე მაცხოვრისა და ყოვლადწმიდისა დედისა მისისაო!

ჵ, მამათა შორის კეთილმსახურებითა განბრწყინვებულო, დიდო საკჳრველთმოქმედო დოდო გარეჯელო! რომელი ზეგარდამოჲთა განგებულებითა ღმრთისაჲთა მიიწიე გარეჯისა უდაბნოსა ნავთსაყუდელად სულთა და განმამრავლებლად სავანეთა, სრულ ყავ ანგელოსებრივი სრბაჲ შენი ქუეყანასა ზედა, და აღმაღლდი რაჲ ჴორცთაგან წინაშე ქრისტჱს ღმრთისა და მაცხოვრისა, მოჰმადლე ყოვლად ქებული ნაწილნი შენნი წმიდასა ეკლესიასა, ნათლად და გჳრგჳნად მადლთა, და თაყუანის-ვსცემთ მათ და გევედრებით: მეოხ გუეყავ წინაშე მისსა, რაჲთა მადლი თჳსი და წყალობაჲ განუახლოს დედისა თჳსისა წილხდომილსა ერსა ჩუენსა, მტჳრთველსა საუფლოჲსა ჯუარისაჲსა ქუეყანასა ზედა, და დაგვიცვას მტერისა საფრჴისაგან და ანტიქრისტეს სიცბილისაგან და მძლავრებისა. მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა დაიფარე და განამტკიცე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მამაჲ ჩუენი

ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, და ყოველნი სამღდელო და სამონაზვნო წესნი. განაძლიერე ღმრთისმსახურნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი.

ჲ, უქმთა უდაბნოთა ქალაქმყოფელო და კეთილად განმგებელო მოღუაწეო, ღირსო მამაო ჩუენო, წმიდაო დოდო გარეჯელო! რომელმან აღირჩიე ცხოვრებაჲ ანგელოზებრივი და შეიმოსე წმიდაჲ იგი სქემაჲ მონაზონებისაჲ, აწ მოგჯჴსენენ წინაშე ღმრთისა, რამეთუ გაქუს კადნიერებაჲ დიდი მისა მიმართ, რაჲთა მოჰმადლოს ეკლესიათა განბრწყინვებაჲ, სამღდელოთა - პატიოსნებაჲ, მთავართა და განმგეთა ჩუენთა - კეთილად მწყსაჲ ერისაჲ, მჴედართა - მამაცობაჲ, ერისაგანთა - უცოდველობაჲ და დედათა - კრძალულებაჲ, ხოლო ჩუენ აღგვაორძინოს და განგვამრავლოს და აღგვავსოს სულითა სიბრძნისაჲთა, ურთიერთასისა სიყუარულითა და საღმრთოჲსა გულისჴმის-ყოფისაჲთა, აღგვიდგინოს სიმართლისმოყუარებაჲ, მრავალშვილიანობაჲ და ქურივ-ობოლთა შეწყალებაჲ. მოგუანიჭოს სიწმიდითა ცხორებისა სიყუარული, უჯეროთა საქმეთა სიძულვილი და გულისა შემუსრვილებაჲ, რაჲთა არა გვეუფლოს განმხრწნელი იგი სული ამა საუკუნისაჲ, და ზეცისა მოქალაქობასა ღირს-ქმნილნი შენ თანა უგალობდეთ, ვაკურთხევდეთ და დიდების-ვმეტყველებდეთ ყოვლადწმიდასა სამებასა, რომელსა მხოლოსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.